ებლად პავილიონები მოსახლეობას უფასოდ უზღავნიდა ავტომანქანას, ყუთებს და მუშას. გლეხებს არ უწევდათ მანდარინის დახარისხება. გლეხი ციტრუსის ჩაბარებისთანავე იმავე პავილიონის სალონოში აიღებდა ფულს და თავისუფალი იყო მომავალ სეზონამდე. ციტრუსიდან მიღებული შემოსავალი ყოფნიდა წლიდან-წლამდე. ციტრუსმა იძლენად დაინტერესა გლეხობა, რომ საკარმიდამო ნაკვეთში გაჩვენეს ყველა ხეხილი, გააუქმეს საბოსტნე ადგილები, შეამცირეს ეზო და ყველგან გააშენეს ციტრუსი. ციტრუსის გარდა სხვა შემოსავლის წყარო აღარ დარჩა ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში.

დაიშალა საბჭოთა კავშირი, დაიწყო საბაზრო ეკონომიკა. გლეხები, მოსახლეობა მარტო აღმოჩნდნენ თავის ციტრუსთან. მოსახლეობამ მიიღო ნებართვა, სადაც მოსურვებდა, იქ გაეყიდა თავისი მოსავალი, ასევე, დახმარების გარეშე მოეწყო მისთვის. მაგრამ მოხდა საშინელება - მოსახლეობამ, ხელისუფლებამ გაანადგურეს ციტრუსის გადასამუშავებელი ქარხნები, პავილიონები, ციტრუსის დამზადების პუნქტები, ციტრუსკომბინატები, წვეწვების ქარხნები, საამქროები, რადგანაც ისინი კომუნისტების შექმნილი იყო. ეს იყო გამოუსწორებელი შეცდომა. საკუთარი ხელით გავანადგურეთ ჩვენი ქონება. ამბობდნენ, ჩვენ უკეთესს გავაკეთებთ, მაგრამ სადაა ეს უკეთესი? მოსახლეობას არ აქვს ფული, ვერ შეიძინა ციტრუსის ყუთები, არ აქვს ციტრუსის დაწყოების და სარეალიზაციოდ შენახვის საშუალება. თუ წინათ ისე უფლიდა ციტრუსს, რომ არ ყიდულობდა სასუქს, უფასოდ ახდენდა წელიწადში 4-ჯერ ციტრუსის შეწამვლას, ახლა თვითონ უნდა იყიდოს მინერალური სასუქები და ციტრუსის შეწამვლისთვის შხამ-ქიმიკატები, მაგრამ ამის საშუალება არ გააჩნია. გაძვირდა მინერალური სასუქები, ერთი ტონა რა აზოტი ღირს 70 ლარი, შერეული კალიუმი-ფოსფორი-მაგნიუმი-აზოტის ნაერთი - 90 ლარი. გაძვირდა დაქირავებული მუშახელის ფასი. მუშა დაბარვის, ციტრუსის გათოხნისთვის ითხოვს დღეში 50-60 ლარს, მოკრეფისთვის - 40-50 ლარს, მეგორე ნაყოფის პლანტაციიდ-

5 თეთრი, სახელმწიფო უხდის სუბსიდიას - 15 თეთრს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. 20 თეთრად ერთ კვ მანდარინს არცერთი მუშა არ აკრფის მიწიდან. 20 თეთრი რა თანხაა, როცა გამოიღობ ციტრუსის სუფთა ნატურალური წვენი საერთაშორისო ბაზარზე 25-35 ლარზე მეტი ღირს. ერთი ლიტრა დადუღებული წვენიდან რამდენი ბოთლი მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის, ციტროს ლიმონთან ჩამოიხსმება? პაპანაქება სიცხეში ვინ არ დალევს სუფთა ციტრუსის წვეს. რა ფასია 10 თეთრი 1 კვ მანდარინისთვის, ვინ მოიგონა იგი?

ყველაზე ცუდი ისაა, რომ მანდარინი ზამთარში, დეკემბერში იკრეფება. გლეხი ცაში იყურება, არ მოიგდეს სეტყვა და თოვლი. თუ ციტრუსი დაისეტყვა, მოიყინა, მას არავინ იყიდის. სად წაიღოს მოსახლეობამ ამდენი მოყინული ციტრუსი?! თოვლში ციტრუსის მოკრეფა საშიშრეულია. ზოგჯერ მუსლიმან მოვლში დგას ფერმერი და ისე კრეფს სველ, გაყინულ მანდარინს. აღის 4-5-მეტრიან კიბეზე, ცალ ხელში სველი მანდარინის დათოვლილი ტოტი უჭირავს, ცალში კი სეკატორი, ფეხი რომ დაუტყდეს და ჩამოვა-რდეს, დაიღუპება. თოვლში, ყინვაში მანდარინის მოკრეფა 2-ჯერ მეტი უჯდება. როგორ გაყიდოს მოსახლეობამ 1 კვ დასეტყვილი, მოყინული, საშუალო და უმაღლესი ხარისხის მანდარინი? როგორ ჩაიტანოს ქობულეთის წვეწვების საამქროში და ჩააბაროს 1 კვ 20 თეთრად, როცა მარტო მოკრეფა და სახლში ციტრუსის დაბინავება უჯდება 5 ლარზე მეტი, ყუთების შექმნა, ძირში დაყრილი მანდარინის აკრეფა, ყუთების ავსება, მანქანაზე დატვირთვა, ჩატანა, აწონა, 5-7 დღე რიგში დგომა, ცარიელი ყუთების სახლში ატანა, ეს დიდი მოგონა და ხარჯია. ფერმერს საერთოდ არ რჩება მოგება. ამიტომ ურჩევნია, ეზოდან გაყიდოს 40-50 თეთრად და თავიდან აიცილოს ზედმეტი ხარჯები. თუმცა შენახულ ციტრუსს მოსახლეობა დიდხანს ვერ ყიდის. ეცემა ციტრუსის ხარისხი, ლბება. მოსახლეობას შენახული ციტრუსის 2-3-ჯერ გადაარჩევა უწევს. დამპალს ყრის საკარმიდამო ნაკვეთში. მოვა წვიმა და გადაყრილ ნაყოფს მდინარეში ჩაიტანს, მდინარე კი ზღვაში, რომელიც გამოირიყავს

ამზადებენ დელფინის საპონს ჩვეულებრივი საპნისგან, რომელსაც 1 კვ-ს 6 ლარად ყიდიან, ამბობენ, რომ მალაჩის დელფინის საპონზე უკეთესია. ასევე ციტრუსის სხვა შხამ-ქიმიკატებიც არის უხარისხო, რაც ამცირებს ციტრუსის ხარისხს. საჭიროა შხამ-ქიმიკატების ხარისხის შემოწმება და შემდეგ მისი რეალიზაცია, რაც უნდა გაითვალისწინონ შესაბამისმა სამსახურებმა.

არ მოწმდება ნიადაგი. წინათ მიწის შემოწმება ღირდა 100 ლარი, რაც მიუწვდომელი გახდა გლეხისთვის. ფერმერმა არ იცის, რომელი სასუქი შეიტანოს მის მიწის ნაკვეთში. ესეც მოქმედებს ციტრუსის ხარისხზე. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ციტრუსის საზღვარგარეთ გატანამ ხეირის ნაცვლად უბედურება მოუტანა მოსახლეობას: ზოგი ავარიით დაიღუპა, ზოგს მოუყინა ციტრუსი, ზოგს დაუღუპა, ზოგი გაძარცვეს, ზოგი არ დაბრუნდა საკუთარ ოჯახში, ზოგიც ვერ დაბრუნდა, ზოგმა დანაშაული ჩაიდინა, იხდის სასჯელს და სხვა.

ფერმერი ცდილობს, თავიდან მოიცილოს ამდენი წვალბეტი მოკრეფილი მანდარინი. მთელი დღე ზის გზაჯვარედინზე და ელოდება, იქნებ გამოჩნდეს მყიდველი. ჩამოდიან აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან და ჩაიღოს ფასად - 50-60 თეთრად ყიდულობენ ყველაზე კარგს, გადარჩეულს, უმაღლესი ხარისხისას. შეეკითხები ფერმერს თუ გაყიდა ციტრუსი და გეტყვის, გავყიდე, მაგრამ ვაი, ასეთ გაყიდვას. ვისი იმით ამბობს, რომ მყიდველმა ნანგვარზე მეტი გადაუყარა, არ წაიღო შავლაქიანი, შეეწინააღმდეგებინა, საშუალოზე დაბალი ხარისხის მანდარინი. წაიღო ისეთი, რომელიც გლეხს 5 ლარად უნდა გაეყიდა და მხოლოდ 50 თეთრად გაყიდა. მე თვითონ მოკრეფე 2500 კვ მანდარინი. მისი დატვირთვა, ჩამოტვირთვა და სახლში შეტანა, დაწყოება 180 ლარი დამიჯდა დახარისხების გარეშე. თუ დავა-ხარისხებდი და მუშა გადაარჩევიდა, მას დასჭირდებოდა 4 მუშა, სამი დღით მუშაობა, მუშა ამაში 40 ლარს ითხოვს დღეში. 4 მუშა 3 დღეში კი 480 ლარია, გადაარჩევა-დახარისხებაში ამდენი ფულის გადახდას, ვიფიქრე, მყიდველი მაინც

გადაარჩევიდა, მაგრამ დაუხარისხებელი ციტრუსი არცერთმა მყიდველმა არ შეისყიდა, არ წაიღო.

ბოლოს გამოჩნდა სახეირიდან მყიდველი, რომელიც მალაჩაში მუშაობდა. მოკრეფილი ერთი კვ უნდა წაიღო 40 თეთრად და გადაარჩევისას ამოიღებდა მხოლოდ ენესს და დამპალს, მაგრამ ამოიღო ენესიც, დამპალიც, საშუალოც და უმაღლესი ხარისხის მანდარინიც, რომელსაც ჰქონდა შავი წერტილები, შავი ლაქა და არ ჰქონდა კაშკაშა ფერი. 2500 კილოგრამი მანდარინიდან გადაიყარა 1300კგ. აი, რას ნიშნავს - ვაი, ასეთ გაყიდვასო. მეორე დღეს წვეწვების საამქრო იკეტებოდა ქობულეთში, გადავარჩიე გადაყრილი 1300 კგ და გავყიდე ეზოდან 10 თეთრად 800კგ მანდარინი, ავიღე 80 ლარი.

სულ 2500 კვ ციტრუსიდან (1 კვ 4 ლარი დამიჯდა) ავიღე 560 ლარი. 1 კვ ციტრუსმა გამოიწვია 22 თეთრი... ზოგმა ფერმერმა სულ არ მოკრეფა მანდარინი, დატოვა ხეზე. მოვიდა თოვლი, სეტყვა. მარტ-აპრილში ყველა ძირს ჩამოცვივდა. აი, ესაა ციტრუსის შემოსავალი. სეზონის დამთავრების შემდეგ ვაზეთში იწერება და ტელევიზიაზეც აცხადებენ, რომ წელს კარგი მოსავალი იყო, დიდი ოდენობით ციტრუსი გაიტანეს ფერმერებმა საზღვარგარეთ და კარგი შემოსავალი მიიღესო. იგებს ის, ვინც ყიდულობს. სახელმწიფომ მოაგვარა ყურძნის საკითხი, იგი ბარდება მტკიცე ფასებში. ბაზარზე იყიდება ძვირად. საქართველოში მოყვანილი ღვინო სადღეობა საზღვარგარეთის ქვეყნებში კარგ ფასად და იქიდან დიდი შემოსავალი აქვს ჩვენს ქვეყანას და მოსახლეობას, მაგრამ ხელისუფლებამ ვერ მოაგვარა ციტრუსისა და ჩაის საკითხი. მოსახლეობა კითხულობს - ეშველება რამე ჩვენს ციტრუსსო? პასუხი არაა. ჩემი კომპერაციაში მუშაობის 40 წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილებით, ციტრუსს ეშველება და მოსახლეობაც მიიღებს მისგან დიდ შემოსავალს, თუ აშენდება სარაიონთაშორის ციტრუსკომბინატი, რომელიც აჭარაში მოყვანილ ციტრუსის მთლიანად მიიღებს და გადაამუშავებს ერთი წლის განმავლობაში, სადაც დასაქმებული იქნება 1000-მდე მუშაკი. გადაამუშავებს დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტ ციტრუსს. ყოველმა სპეციალური სატვირთო ავტომანქანები, რომლებიც გლეხის მოკრეფილ ციტრუსს წაიღებს პირდაპირ პლანტაციიდან ტარის გარეშე, ჩაიტანს კომბინატში და ჩაყრის ბუნკერში დასაბარისხებლად. გლეხი მიიღებს ჩაბარებული ციტრუსის ქვეთარს, წავა თავის ოჯახში და მშვიდად დაიძინებს. მოსახლეობა გადაარჩევა ამდენ წვალბას, მონურ მომასს და კარგი შემოსავალიც ექნება. ის მთელ მოსავალს კომბინატს ისე ჩააბარებს, რომ არცერთ ყუთს არ დაიტვირთოს თავისთვის სახლში საჭმელადაც კი. კომბინატს დიდი შემოსავალი ექნება. ციტრუსს საერთოდ არ აქვს რაიმე დანაკარგი. ციტრუსის ყვავილიდან მზადდება კარგი ხარისხის მურაბა, ნარჩენი ნაჭუჭიდან - კარგი მურაბა და კომპოტი. ასევე, ნარჩენისგან, რომელიც გატარდება წვენში, გამოიწურება ეთერზეთები. მანდარინის ნარჩენისგან დამზადებული მურაბა უმაღლესი ხარისხისაა. დახარისხებული ციტრუსიდან საზღვარგარეთ გაიყიდება უმაღლესი ხარისხის ციტრუსი, სუპერი, მტკიცე ფასებში, საშუალო ხარისხისა და ციტირის მანდარინი. მთელი წლის განმავლობაში გადაამუშავდება-დამზადდება 11 სახის მაღალი ხარისხის პროდუქცია და გაიყიდება როგორც ჩვენი ქვეყნის ბაზარზე, ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნებში. საშუალოზე დაბალი ხარისხის მანდარინიდან ნანგვარზე წვენი, რომელიც ძალიან ძვირფასია. 1 ლიტრი წვენი გაიყიდება კარგ ფასად, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში მტკიცე ფასად. კომბინატი გამოუშვებს მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის, ვანილის, ციტროს, გრიპფრუტის და დელფინის წვენს ლიმონათისათვის. ასევე დაბალი ხარისხის ციტრუსიდან გამოიხდება უმაღლესი ხარისხის სპირტი, რომლისგანაც დამზადდება არაყი, კონიაკი, გრემი, სამკურნალო სპირტი და სხვა. კომბინატს ყოველწლიურად ექნება დიდი შემოსავალი. თუ სახელმწიფო ააშენებს ასეთ კომბინატს, მოგება შევა ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტში, თუ ინვესტორი ააშენებს - სახელმწიფო გადაუხდის დაღვენილ გადასახადს.

**ომარ შამილივილი, საქართველოს კომპერაციის მომსახურების სფეროს დამსახურებული მუშაკი**

**რედაქციისგან: ვფიქრობთ, ომარ შამილივილის მოსაზრებები საყურადღებო და გასათვალისწინებელია. სიამოვნებით გამოვუქვეყნებთ ამ თემისთან დაკავშირებულ სხვა მოსაზრებებსაც.**



# უჩინალისტს შრომა დაუფასეს

შუახვევის მუნიციპალიტეტში სოფელი ოლადაური პირველია, სადაც 1915 წელს ქართული სკოლა აღდგა. იმ წლიდან მოყოლებული, თაობები აღიზარდნენ მის კედლებში. მათგან ოთარ ფუტყარაძე პირველი იყო, რომელიც წინა საუკუნის 70-იან წლებში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის უფროსისტიკის განყოფილების სტუდენტი გახდა

სტუდენტობის წლებშივე გამოიკა მისი წიგნი «ვაზეთი» და აჭარის შესახებ» (ბათუმი, 1980 წ.).

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ოთარ ფუტყარაძე უჩინალისტურ საქმიანობაში ჩაერთო. წლების განმავლობაში იყო აჭარის რადიოს, შემდეგ აჭარის ტელევიზიისა და რადიომამუშევრობის სახელმწიფო კომიტეტის კორესპონდენტი, რედაქტორი, უფროსი რედაქტორი, მთავარი რედაქტორი, თავმჯდომარის მოადგილე. პროფესიონალი უჩინალის-

ტა იმერხევისა და თურქეთის რესპუბლიკის სხვა ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართველების ყოფა-ცხოვრება, ადათ-წესები. 1991 წელს პირველმა გამოიცა მათდამი მიძღვნილი წიგნი «ჩვენებურთა სიმღერა».

ოთარ ფუტყარაძე დღესაც არ წყვეტს ინეგოლში მცხოვრებ ქართველებთან, თავის მოგვარებებთან ურთიერთობას, რაც მისი დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზეც წარმოჩნდა. ღონისძიების ორგანიზატორების, ოლადაურის საჯარო სკოლის პედაგოგების ნათელა ფუტყარაძის, მერაბ მაკარაძის, სკოლის დირექტორ გენადი მაკარაძის, შუახვევის რესურსცენტრის უფროს ელენა გოგრაჭაძის, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ნატარაძის, უჩინალისტ ოთარ ცინარიძის, ოლადაურის ბიბლიოთეკის გამგის ანა ბერიძის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ოთარ მიქელაძის

ლი შეხვდა მუჭაჭირთა შთამომავლებს და ნანახი ნარკვევები «ინეგოლი გურჯების ქალაქი» ასახა. აქედან მოყოლებული, ათეულობით ნარკვევი, რეპორტაჟი, ინტერვიუ მიუძღვნა სარფის კარს მიღმა მცხოვრებ ქართველებს. ნაშრომ-ნაამაგარი ერთ წიგნად აკინდა და საზოგადოებას სახელწოდებით «მორეული ახლობლები: მოთხრობები თურქეთის საქართველოსა და ქართველებზე» წარუდგინა. ეს წიგნი კიდევ უკეთ წარმოაჩენს მის დამოკიდებულებას იმ ქართველებისადმი, რომლებსაც დღემდე მშობლიური ქვეყანა ენატრებათ.


ოლადაურში ჯუშუშაური ერთი უბანია. ზაქარია ჭიჭინაძეს თუ ვერა მუნებთ, ოსმალთა მომხდურებმა ამ უბნიდან 1855 წელს რამდენიმე კომლი გადაასახლეს წინააღმდეგობის გამო. ოთარი ამ უბანში დაიბადა. საუკუნე უკან მოიტოვა დედამისმა ზულეინა ფუტყარაძემ. მისი შრომითი წარმატებები მთელ ქვეყანაში იყო ცნობილი. შრომისმოყვარეობა, მინდობი-

**ოთარ ფუტყარაძე ინეგოლში პირველი შეხვდა მუჭაჭირთა შთამომავლებს და ნანახი ნარკვევში «ინეგოლი გურჯების ქალაქი» ასახა. აქედან მოყოლებული, ათეულობით ნარკვევი, რეპორტაჟი, ინტერვიუ მიუძღვნა სარფის კარს მიღმა მცხოვრებ ქართველებს. ნაშრომ-ნაამაგარი ერთ წიგნად აკინდა და საზოგადოებას სახელწოდებით «მორეული ახლობლები: მოთხრობები თურქეთის საქართველოსა და ქართველებზე» წარუდგინა. ეს წიგნი კიდევ უკეთ წარმოაჩენს მის დამოკიდებულებას იმ ქართველებისადმი, რომლებსაც დღემდე მშობლიური ქვეყანა ენატრებათ**

ტი დიდი ხნის განმავლობაში აგრძელებდა მასალებს მიმდინარე აქტუალურ თემებზე. შუშანა, თამაზ ფუტყარაძეების მსგავსად, მან საზოგადოების ფართო ფენებს გააცნო სარფის კარს მი-

სგავსად, მას იუბილე საზოგადოებრივი ქსელით ინეგოლელმა მენან ფორთოქალმა და სხვებმა მიულოცეს. საუბილეო საღამოზე ითქვა, რომ ოთარ ფუტყარაძე ინეგოლში პირვე-

ლი საქმისადმი ერთგულება ოთარს ოჯახიდან მოდგამს. «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ქვეყნის მმართველობაში მოსვლის პირველი თვეებიდან ოთარი აჭა-



ოთარ ფუტყარაძე (მარჯვნივ) და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ოთარ მიქელაძე (მარცხენა).

რის ტელევიზიისა და რადიომამუშევრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს თანამდებობას ჩამოაშორეს. გული არ გაიტეხა. მას შემდეგ მისი რედაქტორობით რამდენიმე წიგნი გამოიცა. ერთ ხანს უჩინალისტიკაში ლექციების კურსი მიჰყავდა. თითქმის ორი ათეული წელია, ტურისტულ ექსპედიციებს ხელმძღვანელობს თურქეთის რესპუბლიკაში. წლების წინ ბიზნესმენ ვაჟა დავითაძესთან ერთად, ტაო-კლარჯეთში უმეგზურა შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ცნობილი მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ფრიდონ ხალვაშს, რაც ასახა ნარკვევში «როდის მიუვა მათ ვაზაფხული, ანუ ათასი კილომეტრი ტაო-კლარჯეთში ფრიდონ ხალვაშთან ერთად». მასვე ეკუთვნის სცენარი დოკუმენტური ფილმისა «ტაო-კლარჯეთი». საიუბილეო საღამოზე ოლადაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ფრიდონ

ხალვაშის შვილის, ცნობილი რეჟისორის ზაზა ხალვაშის სამადლობელი ბარათი წაიკითხეს, რომელშიც იგი ყველას და მათ შორის, ოთარსაც, მადლობას უხდოდა მამის მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისთვის.

საიუბილეო საღამოზე ოლადაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მხატვრული ნომრები შეასრულეს, ლექციები წაიკითხეს. - დასამახსოვრებელი დღე იყო, - თქვა ელენა გოგრაჭაძემ, - სკოლა, სოფელი ღირსეულ შვილს მოეფერა. ეს საუკეთესო მაგალითია სხვებისთვის. აქ გახშირდა იდეა, რომ 100-წლიანი ქართული სკოლის ეზოში გაიხსნას სოფლის ღირსეულ შვილთა ვარსკვლავები. იმედია, ამ იდეას კომპეტენტური ორგანიზების მხარდაჭერა ექნება.

იუბილარმა დამსწრეთ მადლობა გადაუხადა საინტერესო და შინაარსიანი საღამოსთვის.

# აჭარის ფალავნობა - ქართულ ჭიდაობაში

შუახვევის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში წონით კატეგორიებში პირველობისთვის და შემდეგ აბსოლუტური ფალავნის საბატიო ტიტულის მოსაპოვებლად, რეგიონის 25 ფალავანი ასპარეზობდა



აბსოლუტური ფალავნობა გახსნა და მონაწილე სპორტსმენებს მიესალმა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე, რომელმაც აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის თანადგომის და 2022 წლის აჭარის აბსოლუტური ფალავნობის ორგანიზებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის ფედერაციის მადლობის სიგელები გადასცა საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მსახურა კოლეგიის წევრებს, ეროვნული კატეგორიის მსაჯეები, ლენტეხელ კობა ქიმიეთაძის და ქუთაისელ მამუკა მელიქიშვილს.

აბსოლუტური ფალავნობის მონაწილე სპორტსმენებს, გულშემატკივრებს მიესალმნენ: შუახვევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე და შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე, შუახვევის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორი რამინ ჯოიძე, შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე.

ასპარეზობაში მონაწილე სპორტსმენებს, გულშემატკივრებს მიესალმნენ: შუახვევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე და შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე, შუახვევის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორი რამინ ჯოიძე, შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე.

აჭარის 2022 წლის აბსოლუტურ ფალავანს, ქართული ჭიდაობის ტრადიციისამებრ, ცხვარი, ასევე - ფულადი ჯილდო, მიზილური ტელეფონი, სპორტული ტანსაცმელი, ფალავნის სპეციალური თასი, მედალი და სიგელი გადაეცა.

ფალავნობაში მონაწილე სპორტსმენებს, გულშემატკივრებს დისტანციურად, სატელეფონო ჩართვით მიესალმა საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, ქართული ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის დამფუძნებელი გელა ბერუაშვილი.

ფასიანი საჩუქრებით, ფულადი პრიზებით, თასებით, მედალებით და სიგელებით დაჯილდოვდნენ ფალავნობის სხვა პრიზიორებიც და წონით კატეგორიებში გამარჯვებული სპორტსმენები.

საინტერესო, დაძაბული გამოდგა წონით კატეგორიებში მონაწილე ფალავანთა შეხვედრები. საპრიზო ადგილებზე გასულმა სპორტსმენებმა აბსოლუტური ფალავნის ტიტულის მოსაპოვებლად გააგრძელეს ბრძოლა. 80-კილოგრამიან წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილები ასე გადაიწილდა: ბაჩანა ბოლქვაძე (ბათუმი) - პირველი, მირიან მამალაძე (შუახვევი) - მეორე, გიორგი აბაშიძე (შუახვევი) - მესამე.

ასპარეზობა სანახაობითი იყო, - თქვა ბადრი ნაკაშიძემ, - ორგანიზატორებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მაყურებელი მოეზიდათ და სპორტული პაექრობა ეჩვენებინათ. ფალავნობას შუახვევა მეორედ უმასპინძლა. მისასალმებელია ადგილობრივი ხელმძღვანელობის ჩართულობა, ობიექტური მსაჯობა.

90-კილოგრამიან წონით კატეგორიაში: ანრი დიასამიძე (ბათუმი) - პირველი, ნიკა ბერიძე (ბათუმი) - მეორე, გოგიტა ზოიძე (შუახვევი) - მესამე.

აჭარის აბსოლუტური ფალავნობის საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები, ფედერაციის და აჭარის სპორტულ ღირსებას საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობაზე 10-11 დეკემბერს ქალაქ ქუთაისში დაიცავენ.

90 კილოგრამს ზევით წონით კატეგორიაში: რუსლან შვაძე (ქობულეთი) - პირველი, არმაზ ჯაბინიძე (ქედა) - მეორე, თამაზ ბედინაძე (ბათუმი) - მესამე.

აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაცია აჭარის 2022 წლის აბსოლუტური ფალავნობის ფულადი საპრიზო ფონდის ფორმირებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის უდიდეს მადლობას უხდის ფედერაციის გვერდით მდგომ ორგანიზაციებს და მეგობრებს (შპს «ირე-პალასი», შპს «თონალო 999», შპს «ძემბი ბრ.», შპს «ჩემი სახლი», ბატონები: ვლადიმერ მახარაძე, აკაკი მახარაძე, ზურაბ მახარაძე, რომან ფუტყარაძე, ჯემალ წულუკიძე). მათი თანადგომით მეთერთმეტე ფალავნობა ორგანიზებულად ჩატარდა, - გვითხრა ჯემალ წულუკიძემ.

დებულების თანახმად, მათ მიეცათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ აბსოლუტური ფალავნის წოდებისთვის ასპარეზობაში. აქ ადგილები ასე გადაიწილდა: ბაჩანა ბოლქვაძე - ფალავანი, თამაზ ბედინაძე - ფალავნობის ვერცხლის პრიზიორი, ანრი დიასამიძე - ბრინჯაოს პრიზიორი.

აჭარის 2022 წლის აბსოლუტური ფალავნის საბატიო ტიტული ბათუმელმა ბაჩანა ბოლქვაძემ მეორედ მოიპოვა. იგი ევროპის პრიზიორია ჭიდაობა ძიუდოში

# ნარმატაბულ მკლავჭიდაულ მოოზლიურ სკოლაში შეხვედრა მოუწყვეს

სულ მალე ნიგაზეულელები სოფელში ქართული სკოლის აღდგენის 100 წლისთავს იხიციებენ. მის კედლებში თაობები აღიზარდნენ. გოგიტა ხიმშიაშვილი წინა საუკუნის 90-იანი წლების თაობას წარმოადგენს. იგი სპორტულ სარბილზე მიღწეული წარმატებებით თანასოფელელებს და თანატოლებს ახარებს.

რმატებული ტურები იყო 2013 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში ჩატარებული აჭარის ჩემპიონატი, რომელზეც გოგიტამ პირველი ადგილი დაიკავა. გოგიტა ირემიძის დაწესებული თანადგომა აჭარის მკლავჭიდაის ფედერაციის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა სკოლაში შევადგინა და მწვრთნელმა თემურ ლიპარტელიანმა გააგრძელეს. აჭარის ჩემპიონობას მალე მარჯვენა და მარცხენა ხელით საქართველოს ჩემპიონობა მოჰყვა. 2015

მკლავჭიდაულ მსოფლიო ჩემპიონი, ამ დღეებში, ნიგაზეულის საჯარო სკოლის დირექციისა და პედაგოგიური კოლეჯის ინიციატივით, სკოლაში მოიპატრუეს. სკოლის დირექტორი შაქრო ხიმშიაშვილი დამსწრეთ გოგიტას ბიოგრაფიასა და სპორტში წარმატებებზე ესაუბრა. ნიგაზეულის საჯარო სკოლაში გოგიტა 1998-2010 წლებში სწავლობდა, 2011-2012 წლებში ქართული ჯარის რიგებში მსახურობდა. სპორტი ბავშვობიდანვე იტაცებდა. მის თანატოლებს მწვრთნელი ლევან ხიმშიაშვილი ქართული ჭიდაობის ილეთებს ასწავლიდა. სწორედ ლევანი გახდა ინიციატორი, რომ გოგიტას ძალები მოეხიზნა გონიოში გამართულ მკლავჭიდაულ ტურნირზე, სადაც წარმატებას მიაღწია. შემდეგი ქედაში გამართული აჭარის ჩემპიონატი იყო - აქ მეორე ადგილი დაიკავა. აჭარის მკლავჭიდაის ფედერაციის ხელმძღვანელებმა იგი უმაღლეს საწვრთნელ ბაზაზე სავარჯიშოდ მიიწვიეს. მის დაკავლიანებას და მომავალ წარმატებებში დიდი როლი შეასრულა მკლავჭიდაის ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ცნობილმა მეცენატმა გოგიტა ირემიძემ. პირველი წა-



წელს, უკვე თავის წონაში, აჭარისა და საქართველოს ჩემპიონობა აღარავის დაუთმო. 2016 წელს ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, მომდევნო წელს კი საქართველოს თასი ერგო. 2018 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალს დასაჯერდა, სამაგიეროდ ბულგარეთში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაისაკუთრა.

იხ. მე-7 გვ.  
გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ



უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ახლად გათავისუფლებულ ქალაქ ხერსონს ეწვია და უკრაინელ ჯარისკაცებს მიმართა: „ჩვენ წინ მივდევართ. მზად ვართ მშვიდობისთვის, მშვიდობისთვის მთელი ჩვენი ქვეყნისთვის“.

ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, დონეცის ოლქში ბრძოლები ახლა ისევ ინტენსიურად მიმდინარეობს, როგორც წინა დღეებში. „რუსეთის თავდასხმის დონე არ იკლებს. ჩვენი მებრძოლების გამძლეობისა და გამბედაობის დონე ყველაზე მაღალია. მოწინააღმდეგე ჩვენი თავდაცვის გარდევის საშუალებას არ ვაძლევთ. მადლობას ვუხდით თითოეულ ჩვენს ჯარისკაცს ამისთვის“.

უკრაინელმა სამხედროებმა გასული კვირის განმავლობაში მდინარე დნიპროს დასავლეთ სანაპიროზე 179 დასახლებულ ადამიანს დაიღუპა, - განაცხადა ოპერატიული სარდლობა „სამხრეთის“ სპიკერმა ვლადისლავ ნაზაროვმა.

მზიდი ჰყავთ, რომელიც რვა ფრთოსანი რაკეტითაა აღჭურვილი.

უკრაინის პრეზიდენტის განცხადებით, ხერსონის ოლქში გამოძიებულმა რუსეთის მიერ ჩადენილი ომის დანაშაულის 400-ზე მეტი შემთხვევა გამოავლინეს. ამასთან, ნაპოვნი რაკეტების მფლობელები მოქალაქეების, ასევე სამხედრო მოსამსახურეების ცხედრები.

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით, რუსულმა ძალებმა დღე-ღამის განმავლობაში უკრაინის ტერიტორიაზე 4 სარაკეტო და 13 საჰაერო დარტყმა განახორციელეს. მტერმა ზალბური ცეცხლის რეაქტიული სისტემებიც გამოიყენა.

თაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ომის კანონებისა და წესების დარღვევით“, - აცხადებენ უწყებამო.

უკრაინელმა სამხედროებმა ლუგანსკის ოლქში 12 დასახლებული პუნქტი, მათ შორის მაკეევკა გაათავისუფლეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია ლუგანსკის საოლქო სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ სერჟი გაიდაიზე დაყრდნობით ავრცელებს.

ხერსონის ოლქის დეოკუპირებულ ბერისლავის რაიონში მტერმა თითქმის ყველა კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტი, ტყის ტერიტორია, საცხოვრებელი კორპუსები და სამედიცინო დაწესებულებები დანაღმა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ბერისლავის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ვოლოდიმირ ლიტვინოვზე დაყრდნობით ავრცელებს.

მოამზადა ნაირა ფუტყაბაძემ

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რისხვი იზრდება

მე-3 გვერდიდან

გმუშაობთ მნიშვნელოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ეს გახლავთ მესამე და მეოთხე დონის ელექტროკოსობა, როდესაც დამსაქმებლებთან კომუნიკაცია გვაქვს, აბსოლუტურად ყველა მათგანი აღნიშნავს კარგი ელექტროკოსის ნაკლებობას, მშენებლობა იქნება თუ ინჟინერ-პროგრამირება ავიღოთ. ყველა კომპანიაში კარგი ელექტროკოსი ჭირს. გადავწყვეტიეთ მესამე და მეოთხე დონის საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამები გავაკეთოთ და შევთავაზოთ საზოგადოებას. ვერ ვეტყვი ამ პროგრამების განხორციელების პერიოდს, დამოკიდებულია ბევრ ძვირადღირებულ აღჭურვილობაზე.

მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებს გვაკეთებთ, თუნდაც ისეთი, როგორცაა შინ მოვლა. ავადმყოფის შინ მოვლა ძალიან პრობლემურია და არ გვყავს სპეციალისტი, ამიტომ საჭიროა კვალიფიცირებული ექთნები გადავამზადოთ. არაერთ საკითხზე შევითანხმებთ კლინიკებთან. „ევექსის“ კლინიკები ძალიან კარგად თანამშრომლობენ ჩვენთან და ამ მიმართულებითაც ვაპირებთ გაძლიერებას. ვნახოთ, ყველაფერი დამსაქმებლების აქტიურობაზე დამოკიდებულია.

გაქვთ თუ არა ასაკობრივი ზღვარი ჩარეცხული სტუდენტებისთვის?

საბაზო განათლება არის მესამე დონის პროგრამებისთვის აუცილებელი, მაგრამ ზედა ზღვარი არ არსებობს. ჩვენ პრაქტიკოსი ექთნის პროგრამაზე 65 წლის სტუდენტს გვყავდა. ახლა მეფუტკრეობაზე გვყავს და ეს პრობლემა არ არის. პერსონალიც ამ მიმართულებით გადამზადებულია. არა მარტო ზრდასრულთა განათლების, ინკლუზიური განათლების მიმართულებითაც სერიოზულად გმუშაობთ. წელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 3 სტუდენტი მივიღეთ. მათთვის გვყავს სპეციალისტი, სპეციალური განათლების მასწავლებელი. აქვე, მაღლობა მინდა გადავუხადო კერძო და სა-

ჯარო სკოლების დირექტორებს, არნახული აქტიურობით გამოირჩევიან ისინი და მუდმივად ცდილობენ, მიაწოდონ ჩვენი სახსრები თავიანთ სკოლებს. ვფიქრობ, მათთან განსაკუთრებულად მჭიდრო თანამშრომლობით, ჩვენ ძალიან ბევრ მოსწავლეს საბაზო განათლებიდან შემოვიყვანთ პროფესიულ განათლებაში. თქვენი გაზრდის საშუალებით, კიდევ ერთხელ მათ მაღლობა მინდა ვუთხრა და ვთხოვო, უფრო აქტიურად ითანამშრომლონ ჩვენთან და მეტი ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლეებს.

როგორც მივხვდი, პროფესიული სასწავლებლები აქცენტი გაკეთებული გაქვთ ამ ეტაპზე ბაზარზე დეფიციტურ პროფესიებსა და კადრებზე...

დიახ, დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გარეშე ვერაფერს გვაკეთებთ. დამსაქმებელმა იცის, რა ესაჭიროება. ვერ ვეტყვი, მაგალითად, ვერც ბათუმის რეფერალურ კლინიკას, ვერც „ინჟინერ-პროგრამირებას“, რა სპეციალისტი ესაჭიროება. ისინი გვეუბნებიან და ჩვენ ამის მიხედვით ვმუშაობთ და ვამზადებთ, მათივე აქტიურობით და მონაწილეობით. მაგალითად, ვიწყებთ ტრენინგებს „ევექსის“ ჰოსპიტლების ექთნებთან, რომლებიც ჩვენს პროგრამებში მომავალი პროფესიული განათლების მასწავლებლები იქნებიან. ისინი არაჩვეულებრივი სპეციალისტები არიან, სტუდენტთან მუშაობის პედაგოგიური უნარების გამოუმუშავებიათ კი ჩვენი ტრენინგები დაეხმარება.

საქართველოს ევროკომისარი ოლივერ ვარკვი ეწვევა

დღეს საქართველოს სამუშაო ვიზიტით ევროკომისარს ოლივერ ვარკვი ეწვევა. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია პრემიერ-მინისტრისა და ევროკომისარის პირისპირ და გაფართოებულ ფორმატებში შეხვედრა.



მთავრობის ადმინისტრაციაში 14:00 საათზე ირაკლი ღარიბაშვილისა და ოლივერ ვარკვის ერთობლივი პრესკონფერენცია გამართდება.

დღევანდელმა ვალა პაპუაშვილს შეხვდება.

ამირან ბუჩიქაძე

ნარკოტიკულ ეკლავიდალს ემოციურ სკოლაში შეხვედრა მოუწყვს

მე-6 გვერდიდან

პანდემიის პერიოდში გოგირა ბულგარეთის რესპუბლიკაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირს ოქროს ლომის გამარჯვებული გახდა, თუმცა მის სპორტულ კარიერაში ყველაზე მეტედიანი მიმდინარე წელია. ჯერ იყო და, ბრიუსელში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე ორივე მკლავში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ავვისტოში ქალაქ პარიზში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს ორი მედალი დაისაკუთრა მბრძოლველმა წონით კატეგორიაში ასპარეზობისას.

ნი, რომლის წონა 130 კილოგრამია, ქართველ მკლავიძელს ორთაბრძოლაში იწვევს.

სპორტულ მიღწევებს გოგირა აჭარის 21 წლამდე მკლავიძელთა ნაკრების უფროს მწვრთნელობას უთავსებს. მისი წარმატებები ყველაზე მეტად მშობლებს - მუშანა და ნუგზარ ხიმშიაშვილებს, მეუღლე თამარ აბულიშვილს ახარებთ. გოგირა უკვე ქვეყანას ორ ვაჟს უზრდის.

ალიარბულ მკლავიძელს მიესალმნენ და შემდგომი წარმატებები უსურვეს შუაგვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მოადგილე გიორგი კეკელიძემ, მერის პირველმა მოადგილე მირიან აბაშიძემ, მოადგილე რუსუდან შავაძემ, შუაგვის რესურსცენტრის უფროსმა ელუარდ გუგრაჭაძემ, ნიგაზულის საჯარო სკოლის პედაგოგებმა ვასო ხიმშიაშვი-

ლმა, თეა ცინცაძემ, ჯემალ კეკელიძემ, ჟურნალისტმა თარა ცინარძემ, მსოფლიო ჩემპიონმა მკლავიძელს ლევან პოლოსიანმა, ბიზნესმენმა ლევან ხიმშიაშვილმა, სოფლის მკვიდრმა გურამ ხიმშიაშვილმა, მოსწავლეებმა.

სპორტსმენმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა.

პირველი შემთხვევაა, როცა ნიგაზულის სკოლა სახელოვან თანასოფელ სპორტსმენს შეხვედრას უწყობს. გოგირა ამას თავისი მიღწევებით, გამორჩეული ხასიათით, საზოგადოებაში მოპოვებული პატივისცემით კიდევ იმსახურებს. მას ოცდაათი წელი შეუსრულდა, მაგრამ აქტიურ სპორტს არ ტოვებს და მომავალშიც არაერთ წარმატებას გვპირდება, - გვითხრა ნიგაზულის მეჩეთის იმამმა, პენსიონერმა პედაგოგმა თემურ ხიმშიაშვილმა.

რაში ხარჯავენ ვიზიტორები ფულს საქართველოში?

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ამა წლის მე-3 კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 2,3 მილიონი შემოსვლა, რაც 2,8-ჯერ აღემატება შარშანდელ შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ამავე პერიოდში 1,6 მილიონს მიაღწია საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა, რაც 2,5-ჯერ მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. „საქსტატი“ ცნობით, ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა - 443,6 ათასი დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციიდან, რაც ვიზიტორთა ჯამური რაოდენობის 27,7 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა სომხეთი 15,3%-იანი წილით, ხოლო მესამეზე - თურქეთი 13,7%-იანი წილით. შესაბამისად, ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა განხორციელდა რუსეთის ფედერაციის (533,2 ათასი), სომხეთის (326,0 ათასი) და თურქეთის (281,3 ათასი) მოქალაქეების მიერ. ამასთან, მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისა და გაწეული ხარჯები 4,6 მილიარდ ლარს გაუტოლდა, ვიზიტზე საშუალო ხარჯმა კი 2 411,4 ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ ვიზიტზე გაწეული საშუალო ხარჯების განაწილება, ხარჯების კატეგორიების მიხედვით, ასე გამოიყურება:

განთავსება - 985,8 ლარი; საკვები და სასმელი - 719,4 ლარი; საყიდლები - 232,4 ლარი; ადგილობრივი ტრანსპორტი - 218,3 ლარი; გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები - 188,2 ლარი; სხვა ხარჯი - 67,3 ლარი.

ამირან ბუჩიქაძე

Table with 5 columns: მთავარი რედაქტორი, გამომცემი რედაქტორი, რედაქცია პასუხს არ ავებს უცხოური პრესის თარგმნილი მასალების, გამომცემელი - შპს, მისამართი: 6000, ბათუმი, ბრიგოვოვოს ქ. №2, დირექტორი



# ქორეოგრაფ შალვა ბოზუაძის ვარსკვლავი გაუსხნის

მანანა კიბიშვილი 598 24 94 97

**ბრწყინვალე ქორეოგრაფსა და პიროვნებას ბათუმის საზაფხულო თეატრის წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუსხნის**

მანამდე მკურნალობით გადაჭედული საზაფხულო თეატრში ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ბათუმმა“ მის მთავარ ქორეოგრაფ შალვა ბოზუაძის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი გამართა.

იუბილარის ბიოგრაფია ვრცელად წარმოადგინა მომღერალმა შოველ გუგუშაშვილმა...

ბათუმში დაიბადა და გაიზარდა, აქვე დაამთავრა სკოლა. პირველი პროფესიული ნაბიჯები ქართულ ცეკვაში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ანსამბლ „მერცხალში“ გადადგა. გაუმართლა, რომ ამაში ჩვენი ბრწყინვალე შემოქმედები დაეხმარნენ, რომელთა შორის გახლდათ გივი ჩხლაძე, რეზო ჭანიშვილი, თამაზ ბეჟანიძე, მოგვიანებით - თემურ ბიბილავი.

შემოქმედებითი გზა სრულიად ახალგაზრდად დაიწყო. სხვათა შორის, სწორედ „მერცხალში“ ცეკვის დროს შეხვდა დიდ ილიკო სუსნიშვილს, რომლის ანსამბლში თავდაუზოგავი შრომით, გამორჩეული ნიჭისა და მაღალი პროფესიონალიზმის მეორებით ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი გახდა. მან ამ ანსამბლის წევრობა არა მხოლოდ გამორჩეული, ურთულესი, სახასიათო სილოებით, არამედ როგორც საუკეთესო თვისებებით დაჯილდოებულმა ადამიანმა დაიმსახურა. უსაზღვროდ ბედნიერია, რომ ჯერ კიდევ მერვე კლასის მოსწავლეს საშუალება მიეცა, მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობ-მოცეკვავე გამხდარიყო, რაც ანსამბლის მანინდელი სამხატვრო ხელმძღვანელის, ქართული ქორეოგრაფიის მეტრის, საქართველოს სახალხო არტისტ ენვერ ხაბაძის დამსახურებაა.

1981 წელს იგი ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მიწვევის მსახიობ-მოცეკვავედ წამყვანი სოლისტის რანგში, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი მაშინ საქართველოს სახალხო არტისტი, ლიტერატორი ჯემალ ჭყუასელი გახლდათ, მთავარი ქორეოგრაფი კი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი რეზო ჭანიშვილი. სწორედ ამ დიდ ხელოვანს უკავშირებს ბატონი შალვა მის დღევანდელ შემოქმედებით წარმატებას. ქუთაისში, ანსამბლის პარალელურად, მუშაობდა ხელოვნების სკოლის მთავარ ქორეოგრაფად და ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის სახლის ქორეოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელად. ამავდროულად დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საზოგადოებრივი ფაკულტეტი ქორეოგრაფიის კვალიფიკაციით.

1991 წელს მიწვევით იწვებს მუშაობას ქართული ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში (სუხიშვილები) უმაღლესი კატეგორიის მსახიობ-მოცეკვავედ. ამ პერიოდში ინდივიდუალური პარტიების შესრულებისას, შექმნა საკუთარი ინტერპრეტაციები ცეკვებში: „ყაზბეგური“, „აბრავული“, „ხეკარი“, „სვანური“, ხორუმის „დაზვეგრა“, „განდაგანა“, „ბაღდადური“. პარალელურად, 1994-2003 წლებში, მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მეჩიბრის“ მთავარ ქორეოგრაფად.

შალვა ბოზუაძემ 2003 წელს შექმნა ანსამბლი „კავკასიონი“, რომელმაც რამდენიმეთვიანი ტურნე გამართა მსოფლიოს დიდ ქვეყნებსა და ცნობილ სცენებზე. ეს იყო დაუვიწყარი თვეები, არაჩვეულებრივი შოუები, სადაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მისი მაღალი პროფესიონალიზმი. სასიხარულოა, რომ ლამაზ ტრადიციებს ბატონი შალვას შვილი - ლევანიც ავრძელებს. ნიჭიერი მამა-შვილის შემოქმედებითი ტანდემი ანსამბლ „კავკასიონში“ იწყება...



იუბილზე გულთბილად მიიღონ ბატონი შალვას გამზრდელი მამა გოგი ბოზუაძე და უნიჭიერესი ახალგაზრდა მსახიობ-მოცეკვავე შოთა აბულაძე, რომელთანაც იუბილარს განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა.

შალვა ბოზუაძის მუშაობა ანსამბლ „ბათუმში“ 2010 წელს იწყება. ანსამბლში ახალი, ნიჭიერი მთავარი ქორეოგრაფის მოყვანა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის, შესანიშნავი ბათუმელის, თავისი საქმის პროფესიონალის თემურ ბოლქვაძის ჩანაფიქრი იყო. სწორედ მან დაუბრუნა ბათუმს ბატონი შალვა, ჩააბარა ანსამბლი და თავდადებით დაუდგა გვერდით. ამ ხნის განმავლობაში შალვა ბოზუაძის ანსამბლში დადგმული აქვს 13 ქორეოგრაფიული კომპოზიცია. აქედან მისი საავტორო ნამუშევრებია: „იმერხელი“, ფხოველთა „გაჯარდენი“, „თუშ ქალთა სავედრებელი“.

ბატონმა შალვამ სიყვარულით შექმნა ლამაზი ოჯახი. ავტო უკვე 40 წელია, მას მხარს უმჭერენ მისი დედა და მამა. შალვას მიღწევების ღირსეული მემკვიდრეა მისი თანადგომის შედეგია.

ქართული ხალხური ცეკვისა და ქორეოგრაფიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის შალვა ბოზუაძე დაჯილდოებულია ღირსების მედლითა და ორდენით. გახლავთ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ეწვევა მედავოიურ საქმიანობას ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ქორეოგრაფ-რეპეტიტორის მეოთხე-მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, არის ხალხური ხელოვნების სკოლაში ქართული ცეკვის მიწვეული პედაგოგი.

პანდემიის გამო ბოლო ორი წელი ხელოვანებისთვისაც რთული იყო, მაგრამ ამ პერიოდშიც მოახერხა „ბათუმმა“ დიდი სიციარიელის შეგება - „ბათუმობას“ მიეძღვნა სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის ერთობლივი პროექტი, სადაც ანსამბლი „ბათუმი“ მთავარი მონაწილე იყო.

შარშან ნოემბერში მათ კიდევ ერთი საინტერესო ერთობლივი პროექტი განახორციელეს - ვეტერან მოცეკვავეთა კლბის პრეზენტაცია. კლბში კომპოზიციების დამდგმელი ქორეოგრაფი რეზო ჭანიშვილი და მონაწილეობა მიიღო მრავალფეროვნების ავტორი სწორედ შალვა ბოზუაძე. სადამო მიეძღვნა საქართველოს სახალხო არტისტ ენვერ ხაბაძის ხსოვნას (კლბის შექმნის იდეის ავტორი მუსიკალური ცენტრის მთავარი ადმინისტრატორი ჯაბა სალუქვაძეა). კლბმა დიდი მოწონება დაიმსახურა. მკურნალებ

ლმა იხილა თაობათა შემოქმედებითი ტანდემი, საკონცერტო ვერსიის პრეზენტაციაში ანსამბლის ახალი თაობაც მონაწილეობდა. შარშან „ბათუმში“ „წლის საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივის“ ნომინანტი გახდა.

ბატონი შალვა რჩება ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების ერთგული, გვერდის კვლავ დაამკვიდრებს ახალ საცეკვაო კულტურას. ხსენებულ კონცერტზე მოწოდების სიმალღებე იდეა „ბათუმი“. 16 საცეკვაო ნომერი შესრულდა და ზუსტად ამდენჯერ დარბაზში მსურველ ტაშით, ფეხზე ამდგარმა დააჩილოვა მოცეკვავეები. რა თქმა უნდა, ეს ტაში ეკუთვნოდა ყველას, ვინც დღეს მოღვაწეობს ენვერ ხაბაძის სახელობის ქართული ნაციონალური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ბათუმში“ (სამხატვრო ხელმძღვანელი - თემურაზ ბოლქვაძე, მთავარი ქორეოგრაფი - შალვა ბოზუაძე, რეპეტიტორ-ქორეოგრაფები - ნუგზარ მიქაძე და მირანდა ბაღდადიშვილი). მისმა თითოეულმა წევრმა, რომ იტყვიან, სული და გული დაღო სცენაზე და ეს ყველაფერი ბატონი შალვას დიდი სიყვარულით კეთდებოდა - მას ამ დღეს გულუხვად დაუბრუნდა ის სითბო და სიყვარული, რასაც ამდენი წელი თავადაც გასცემს. ვინც სადამოს ესწრებოდა, ყველა დამეთანხმება, რომ ეს იყო ქართული ქორეოგრაფიის, ქართული გენისა და სულის დიდი დღესასწაული. ბათუმელთა დიდი სიხარული გაიზარდა სხვადასხვა რეგიონიდან ჩამობრძანებულმა სტუმრებმა.

სადამოში მონაწილეობდა ქალაქ ბათუმის ხალხური სიმღერის გაუთა ანსამბლი (სამხატვრო ხელმძღვანელი - მერაბ ბოჭორიშვილი, ლიტარტი - თემურაზ ბოლქვაძე). ამდღევანდელი იყო ბატონი შალვასა და მისი მეგობრების - ელდარ მუყაის, გიზო სარჯველაძის, მერაბ ლომიძის, გელა აკაბარავას, ნუგზარ მიქაძის (ცეკვა, ასევე ვეტერანი მოცეკვავეების, რომელთაც მთელი დარბაზი ფეხზე დაუდგა.

ბოლოს ყველამ საზაფხულო ფილარმონიის წინ გადაინაცვლა, სადაც ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, მერიის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელმა ირაკლი შაფათავამ საზოგადოებასთან ერთად ამდგარ ხელოვანს სახელობითი ვარსკვლავი გაუსხნეს.

ყველამ გულით მიულოცა ბრწყინვალე ქორეოგრაფს შესანიშნავი დღე, რომელიც უკვე ისტორიის კუთვნილებდა.

**მაია ხაჯიშვილი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი:**

მოხარული ვარ, რომ დღეს ბათუმში კიდევ ერთხელ შედგა ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრის, ჩვენი კულტურის ქვაკუთხედის - ფოლკლორის ზეიმი და ადამიანი, ვისაც ამ ხელოვნებაში აქვს ნათქვამი თავისი სიტყვა, გამორჩეული ხელწერის მქონე ქორეოგრაფი შალვა ბოზუაძე დღეს იუბილარია. ამ სადამოს კიდევ ერთხელ გამოჩნდა მისი თავდაუზოგავი შრომის, კულტურის სიყვარულის შედეგი. დღეს ფოლკლორის სიყვარულით, მომავლის იმედით გამსჭვალული არაჩვეულებრივი სადამო შედგა. დღევანდელ დღეს ვულოცავ განსხვავებული შემოქმედებითი ხელწერის მქონე ადამიანს, რომელმაც არა მხოლოდ ამ, არამედ არაერთ სხვა ანსამბლთან ერთად შექმნა თავისი შემოქმედება. დიდი იმედი გვაქვს, კიდევ არაერთი თაობა, რომელსაც იგი თავისი ოსტატობას გაუზიარებს, დიდ სიტყვას იტყვას. ვულოცავ ჩვენს ქალაქს შალვა ბოზუაძის საიუბილეო თარიღს და ვარსკვლავის გასხნას.

**ირაკლი შაფათავა, ბათუმის მერიის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი:**

ბატონი შალვა უდიდესი პიროვნებაა, ბედნიერი ვარ, რომ მასთან მაქვს შემოქმედებითი ურთიერთობა. ძალიან დიდი ხელოვანია და მისი შემოქმედება ყველამ გნახეთ. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრჯერ გავგახარებს.

ირაკლი შაფათავამ ქართული საცეკვაო ხელოვნების პოპულარიზაცია-განვითარებაში და ხანგრძლივი, ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისთვის ბათუმის კულტურის ცენტრის სახელით მადლობის სიგელი გადასცა შალვა ბოზუაძეს.

**მერაბ დოლიძე, ქორეოგრაფი:**

შალვას გამორჩეული სტილით დღესაც ცეკვავენ სუხიშვილები

ში, იმდენად დიდი მოცეკვავე გახლდათ. ძალიან უტყუარი და ერთგული მეგობარია. ინიციატორია სიხარულების, დიდი ვარსკვლავია და ღირსია ამ ვარსკვლავის, უდიდესი შემოქმედი პიროვნებაა. დიდი ენვერიდან მოდიოდა შესანიშნავი ტრადიცია - უნდა გიხაროდეს ანსამბლში მოსვლა, სადაც ჩახუტება უნდა იყოს, შენი ოჯახით გიყვარდეს და ეს ყველაფერი დღეს რომ გრძელდება, სწორედ შალვას დამსახურებაა.

**ზორბეგ სულაბერიძე, ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი:**

შალვა ძალიან ნიჭიერი ადამიანია, არაჩვეულებრივი პიროვნება, რომელმაც მართლაც ბრწყინვალე ცეკვები გამოიტანა დღეს არაჩვეულებრივი დადგმით. 81 წლის ვარ, ბათუმში წამოსვლა მიჭირდა, მაგრამ რომ დავრჩენილიყავი, თურმე ძალიან ბევრს დავკარგავდი. განარბულიც ვარ, ადელეგებულიც, სიყვარული და სითბო მაღაპარაკებს. მინდა, რომ ეს ადამიანი იყოს ჩანართულად, ბედნიერად, იმითომ რომ ასეთი ადამიანები ძალიან ცოტანია არიან, შალვა გოგუაძე მოვლენა და ამას გულით ვამბობ. მინდა იყოს ჩანართულად, კიდევ დიდხანს აკეთოს თავისი საყვარელი საქმე.

**შან ზვალთაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი:**

შესანიშნავი, ძალიან მაღალი დონის სადამო იყო. ბატონი შალვა მართლაც დამსახურებულია, 60 წელი არც ბევრია, მაგრამ არც ცოტა. მან ამ ხნის განმავლობაში ძალიან დიდი საქმეები აკეთა როგორც დიდი ხელოვანმა, შემსრულებელმა და დღეს წარმოგვიდგა როგორც ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი, ვფიქრობ, რომ ეს არის ხელოვნების უმაღლესი დონე და ნამდვილად მისალოცია აკადემიურის წოდება. მას აქვს თავისი შემოქმედების, სტილის საკუთარი ხელწერა და ბედნიერი კაცი იქნება, რომ როცა ასი წლის შემდეგ ამ ქვეყნიდან წავა, ეს დარჩება ქვეყანას და სამშობლოს. ის მართლაც, დიდი ხელოვანია, საინტერესო და მნიშვნელოვანი.

**შალვა ბოზუაძე:**

მაბედნიერებს, მადლობას დღევანდელი დღე. მიხარია, რომ ამდენი ადამიანი, მეგობარი ჩამოვიდა. დღეს აჭარაში ქართული ცეკვის ზეიმი. მადლობა ყველას - მოცეკვავეებს, მუსიკოსებს, ყველას, ვინც გული ჩაღო ამ სადამოში. თქვენ ბევრნი ხართ. ასეთი რამ ცხვენებაში ერთხელ ხდება. ამიტომ დიდი ემოციური დატვირთვა. ალბათ სამოცი წლის მანძილზე, რაც ცხოვრებაში სირთულეები მქონდა, რა თქმა უნდა, იყო, დღევანდელმა დღემ გადაფარა. ძალიან დიდი პოზიტივი წამოვიდა და იმეგობარი სითბო და სიყვარული ვიგრძენი ადამიანებისგან, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სიყვარული კი მამოძრავებელი ძალაა, ამის გარეშე არაფერი ხდება. ძალიან დიდხანს გამყვება ეს უბედნიერესი დღე.

**განთი „აჭარა“ და მისი მკითხველები უერთდებიან მილოცვებს!**

